სსიპ იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის გენდერული თანასწორობის გეგმა

(GEP)

2024

სარჩევი

პრეამბულა **3**

გენდერული თანასწორობის პრინციპის განხორციელების საკანონმდებლო ჩარჩო იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის უნივერსიტეტში **3**

გენდერული თანასწორობის სტატისტიკა თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტში **4**

იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის უნივერსიტეტის გენდერული თანასწორობის გეგმის მიზანი **5**

იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის უნივერსიტეტში გენდერული თანასწორობის გეგმის განხორციელების ფარგლებში დასახული ამოცანები და ღონისძიებები **5**

1. გენდერული თანასწორობის კომისიის შექმნა იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის უნივერსიტეტში **5**
2. გენდერული თანასწორობის პრინციპის დანერგვა ხარისხის უზრუნველყოფისა და შეფასების მექანიზმებში **5**
3. გენდერული ასპექტის ინტეგრირება კვლევასა და სწავლებაში **6**

წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს სსიპ იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის გენდერული თანასწორობის გეგმას, რომელიც შემუშავებულია ევროკომისიის გენდერული თანასწორობის სტრატეგიის (Gender Equality Strategy for 2020-2025) საფუძველზე.

სსიპ იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი მოწოდებულია, ხელი შეუწყოს გენდერულ თანასწორობას პერსონალის, სტუდენტებისა და ფართო საზოგადოების საკეთილდღეოდ. უნივერსიტეტი სრულად აცნობიერებს, რომ თანასწორობა, მრავალფეროვნება და ინკლუზიურობა არსებითად მნიშვნელოვანია როგორც კვლევითი, ისე საგანმანათლებლო საქმიანობის წარმატებით განხორციელებისათვის.

გენდერული თანასწორობის პრინციპის განხორციელების საკანონმდებლო ჩარჩო სსიპ იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტში

სსიპ იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი იზიარებს რა საერთაშორისოდ აღიარებულ ღირებულებებს თანასწორობისა და დისკრიმინაციის დაუშვებლობის შესახებ, აღიარებს ადამიანის საყოველთაოდ აღიარებულ უფლებებსა და თავისუფლებებს, მხარს უჭერს თანასწორი და ინკლუზიური საგანმანათლებლო გარემოს შექმნას, რომელიც თავისუფალი იქნება პირდაპირი თუ ირიბი დისკრიმინაციის ნებისმიერი ფორმისაგან.

თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი გენდერული თანასწორობის პრინციპს განმარტავს და ახორციელებს საქართველოს კონსტიტუციისა და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, რაც გულისხმობს „ქალისა და მამკაცისთვის თანაბარი უფლებებისა და შესაძლებლობების უზრუნველყოფას“.

როგორც უმაღლესი საგანმანანათლებლო დაწესებულება, თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი, კისრულობს უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონით დადგენილ ვალდებულებებს, რომლებიც გულისხმობს უმაღლესი განათლების სფეროში ყოველგვარი დისკრიმინაციის აკრძალვასა და თანასწორ მოპყრობას.

თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი აგრეთვე კისრულობს „სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთან ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებულ ვალდებულებას, რომლის თანახმადაც, “უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში არ შეიძლება დასაქმდეს აღნიშნული კანონით გათვალისწინებული სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლევი პირი ან/და პირი, რომელსაც იმავე კანონის საფუძველზე სასამართლომ ჩამოართვა საგანმანათლებლო დაწესებულებაში საქმიანობის უფლება.”

თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი ასევე ახორციელებს „გენდერული თანასწორობის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილ ვალდებულებას, რომელიც გულისხმობს „ქალისა და მამაკაცისათვის განათლების მიღების თანაბარი ხელმისაწვდომობის და განათლების თავისუფალი არჩევანის უზრუნველყოფისა, სწავლების ყველა ეტაპზე.“

გენდერული თანასწორობის სტატისტიკა თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტში

თელავის სახელმწიფო უნივერსტიტეტში 2023 წლის გენდერული განაწილების სტატისტიკური სურათი შემდეგია:







ქვემოთ მოცემულია აკადემიური და მმართველი სექტორების თანამშრომლების დეტალური ჩაშლა 2023 წლის მდგომარეობით.

	ქალი%	კაცი%	ქალი	კაცი	სულ
საბაკალავრო საფეხურის სტუდენტები	46.08	53.92	571	668	1239
სამაგისტრო საფეხურის სტუდენტი	40.9	59,06	27	39	66
სადოქტორო საფეხურის სტუდენტები	68,42	31,57	13	6	19
პროფესორი	85	15	17	3	20
ასოცირებული პროფესორი	73,3	26,6	33	12	45
ასისტენტ-პროფესორი	80	20	8	2	10
ასისტენტი	100	0	1	0	1
სამსახურის უფროსები	50	50	6	6	12
დეპარტამენტის უფროსები	100	0	5	0	5
სასწავლო დამხმარე	79.5	20.48	66	17	83
წარმომადგენლობითი საბჭო	85	15	17	3	20

აღნიშნული მონაცემები ცხადყოფს, რომ თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტში

სტუდენტებს შორის გენდერული ბალანსი მეტნაკლებად დაცულია. რაც შეეხება, აკადემიურ, მმართველობით და დამხმარე სეგმენტში მდედრობითი სქესის წარმომადგენლების რაოდენობა აღემატება მამრობითი სქესის წარმომადგენლების რაოდენობას.

სსიპ იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის გენდერული თანასწორობის გეგმა და მიზანი

გენდერული თანასწორობის გეგმის მიზანია თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტში გენდერული თანასწორობის პრინციპისა და შესაბამისი ღირებულებების სისტემური დანერგვა, როგორც უნივერსიტეტის ინსტიტუციურ, ისე კულტურის დონეზე, სწავლებაში, კვლევასა და უნივერსიტეტის მართვაში.

წინამდებარე გეგმის სტრუქტურა და მიზნები ეფუძნება ევროპული კომისიის გენდერული თანასწორობის სტრატეგიასა (Gender Equality Strategy for 2020-2025) და ევროპული სამეცნიერო სივრცის (European Research Area) ძირითად პრინციპებსა და რეკომენდაციებს გენდერული თანასწორობის უზრუნველსაყოფად, როგორც ადმინისტრაციულ, ისე სწავლების, კვლევისა და ინოვაციის სფეროებში.

კერძოდ გეგმაში გათვალისწინებულია:

- პროფესიული და პირადი ცხოვრების ბალანსი და ორგანიზაციული კულტურა (Work-lifebalance and organizational culture);
- გენდერული ბალანსი ლიდერობასა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში (Gender balance in leadership and decision making);
- გენდერული ასპექტის ინტეგრირება კვლევასა და სწავლებაში (Integrating the gender dimension into research and teaching content);
- გენდერული დისკრიმინაციის/ძალადობის, მათ შორის სექსუალური შევიწროების წინააღმდეგ შესაბამისი ზომების მიღება (Measures against gender based violence, including sexual harassment).

თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტში გენდერული თანასწორობის გეგმის განხორციელების ფარგლებში დასახული ამოცანები და ღონისძიებები:

1. გენდერული თანასწორობის კომისიის შექმნა თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტში

თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი გენდერული თანასწორობის პრინციპის დაცვასა და განხორციელებაზე ორიენტირებულ ძალისხმევას მიმართავს, როგორც უნივერსიტეტის მართვის, ისე აკადემიური (კვლევითი) საქმიანობის სფეროებში, ასევე უზრუნველყოფს მის ინტეგრირებას ორგანიზაციული განვითარების ხედვასა

და საუნივერსიტეტო კულტურაში.

უნივერსიტეტი ინსტიტუციურ დონეზე გენდერული თანასწორობის პრინციპის განხორციელებისა და ხელშეწყობის მიზნით, გეგმავს გენდერული თანასწორობის კომისიის შექმნას, რომელსაც დაევალება **გენდერული თანასწორობის მხარდაჭერის სტრატეგიის შემუშავება** და უნივერსიტეტის მასშტაბით მათი განხორციელება და მონიტორინგი.

აღნიშნული კომისიის ძირითად ამოცანებს წარმოადგენს:

1. გენდერული თანასწორობის ხელშემწყობი ინიციატივების მხარდაჭერა სწავლების, კვლევისა და უნივერსიტეტის მართვის სფეროებში;
2. გენდერული თანასწორობის სტრატეგიის დანერგვა - განხორციელება და მისი მონიტორინგისთვის ეფექტიანი სისტემის შემუშავება;
3. გენდერული დისკრიმინაციის შემთხვევების წინააღმდეგ მიმართული ღონისძიებებისა და მათი აღმკვეთი ზომების ეფექტიანი მექანიზმის დანერგვა;
4. უნივერსიტეტის თითოეული სტრუქტურის ჩართვის უზრუნველყოფა საუნივერსიტეტო გენდერული თანასწორობის სტრატეგიის შექმნა-განვითარებასა და მონიტორინგის მექანიზმების შემუშავებაში;
5. გენდერული თანასწორობის საკითხებზე უნივერსიტეტის თანაშრომელთა და სტუდენტთა შორის ცნობიერების დონის ამაღლება და პოზიტიური დამოკიდებულების გაძლიერება საინფორმაციო კამპანიებისა და სპეციალური ტრენინგების ჩატარების გზით;

2. გენდერული თანასწორობის პრინციპის დანერგვა ხარისხის უზრუნველყოფისა და შეფასების მექანიზმებში

უნივერსიტეტის მართვაში გენდერნული თანასწორობის ხელშემწყობი ღონისძიებების განხორციელების პარალელურად, თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი ასევე, ყოველწლიურად განახორციელებს ხარისხის უზრუნველყოფის მიმართულებით გენდერული ბალანსის რაოდენობრივ და თვისობრივ შეფასებას შესაბამისი ინდიკატორების გამოყენებით.

3. გენდერული ასპექტის ინტეგრირება კვლევასა და სწავლებაში

აკადემიური საქმიანობის სფეროში, გენდერული თანასწორობის ხელშეწყობისა და ცნობიერების ამაღლების მიმართულებით, უნივერსიტეტს დღემდე განხორციელებული აქვს არაერთი ღონისძიება: საინფორმაციო შეხვედრები, ტრენინგები, მოკლემეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმების ჩვენებები როგორც შიდა საუნივერსიტეტო რესურსებით, ისე გენდერული თანასწორობის საკითხებზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციებთან თუ სახელმწიფო სტრუქტურებთან

თანამშრომლობით.

აღსანიშვანია, ასევე, KIX Europe –ის აზია წყნარი ოკეანის ქვეყნების ცენტრისა და ჟენევის სამაგისტრო ინსტიტუტის გენდერის ცენტრის მიერ ორგანიზებული ვებინარი ქალთა განათლების თემაზე, რომელსაც ესწრებოდნენ უნივერსიტეტის სტუდენტები, პროფესორ-მასწავლებლები და თანამშრომლები. ვებინარის ფარგლებში განხილული იყო განათლებაში ქალთა თანასწორობის წინაშე არსებული პრობლემების იდენტიფიცირებისა და გადაჭრის გზები და მათი მონიტორინგი.

უნივერსიტეტი კვლევისა და სწავლების მიმართულებით გენდერული თანასწორობის ხელშეწყობის მიზნით, ასევე გეგმავს სამეცნიერო პროექტებსა და საგანმანათლებლო პროგრამებში გენდერული თანასწორობის პრინციპზე ორიენტირებული აქტივობებისა და ღონისძიებების შემუშავებისა და განხორციელების მხარდაჭერას, მათ შორის, ისეთი აქტივობებისა, რომელთა უშუალო მიზანს წარმოადგენს:

1. ინფორმირებულობის დონისა და პატივისცემის ცნობიერების ამაღლება გენდერული მრავალფეროვნების თემატიკაზე;
2. გენდერული თანასწორობის საკითხებსა და ძირითად პრობლემებზე ადმინისტრაციულ და აკადემიურ პერსონალს შორის ეფექტიანი თანამშრომლობისა და კომუნიკაციის მექანიზმის დანერგვა;
3. გენდერული დისკრიმინაციის პრევენციის, დროული იდენტიფიცირებისა და შესაბამისი შემაკავებელი ზომების გატარების ოპტიმალური მექანიზმების შემუშავება და დანერგვა.

აღნიშნული ღონისძიებების გატარება, თავის მხრივ, ხელს შეუწყობს გენდერული თანასწორობის კომისიის მუშაობის ეფექტიანობის გაზრდას და გენდერული თანასწორობის საუნივერსიტეტო კონცეფციისა და პოლიტიკის მუდმივ განვითარებას, მასში უნივერსიტეტის მკვლევართა მაღალი ჩართულობის უზრუნველყოფას.